

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	9
5. მოგება ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის შესაგებ ანგარიშგების შენიშვნები:	9
9. ამონაგები.....	9
10. თვითღირებულება	9
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
12. მიწოდების დანახარჯი.....	10
13. სხვა შემოსავლები.....	10
14. დადებითი / უარყოფითი საკურსო სხვაობა	10
1. ძირითადი საშუალებები.....	11
2. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11
3. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	11
4. გადახდილი ავანსები.....	12
5. სხვა საგადასახადო აქტივი	12
6. მარაგები	12
7. საწესდებო კაპიტალი.....	12
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოგება ზარალის უწყისი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 არააუდიტირებული
ამონაგები	9	5,436,418
თვითღირებულება	10	(3,052,532)
საერთო მოგება		2,383,885
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(821,690)
მიწოდების დანახარჯები	12	(10,562)
სხვა ხარჯები		(5,429)
საოპერაციო მოგება		1,546,205
სხვა შემოსავლები	13	42,825
დადებითი / უარყოფითი საკურსო სხვაობა	14	239
მოგება დაბეგვრამდე		1,589,269
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		1,589,269
მთლიანი სრული შემოსავალი		1,589,269

9-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს:


თინათინ გორგოზიანი
დირექტორი

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობის უწყისი		31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	29,439	33,788
		29,439	33,788
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	182,853	272,250
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	946,989	454,588
გადახდილია ვანსები	4	72,469	-
სხვა საგადასახადო აქტივი	5	101,642	25,319
მარაგები	6	460,389	661,375
		1,764,341	1,413,532
მთლიანი აქტივები		1,793,780	1,447,319
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	26,213	761,629
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,761,323	681,292
		1,787,536	1,442,921
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	6,244	4,398
		6,244	4,398-
მთლიანი ვალდებულებები		6,244	4,398-
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,793,780	1,447,319

9-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	761,629	-	681,292	1,442,921
წმინდა მოგება	-	-	1,589,269	1,589,269
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,589,269	1,589,269
განაწილებული დივიდენდი	-	-	(509,238)	(509,238)
საწესდებო კაპიტალის ზრდა / შემცირება	(735,416)	-	-	(735,416)
2020 წლის 31 დეკემბერი	26,213	-	1,761,323	1,787,536

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ჯეო ნუტრიშენ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2019 წლის აპრილში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400263861.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია აწარმოებს სადისტრიბუციო საქმიანობას, ჯერმოდ, ხდება ბავშვთა კვებისა და მასთან დაკავშირებული პროდუქციის იმპორტი რა ადგილზე რეალიზაცია. საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 28 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გვაზაურის ქუჩა, N 11, ბინა N 42.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი მფლობელი იყო ვუგარ ჰუსეინოვი.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2019 წელი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაბამისობის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

წარსადაგენ პერიოდამდე, კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მის ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8661	3.2143

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ლიცენზიას და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება

ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი

ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. მოგება ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის შესაგებ ანგარიშგების შენიშვნები:**9. ამონაგები**

	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,436,418
ჯამი	5,436,418

10. თვითღირებულება

	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,052,532)
ჯამი	(3,052,532)

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020
შრომის ანაზღაურება	(491,010)
მივლინების ხარჯი	(1,470)
იჯარის ხარჯი	(42,503)
ცვეთის ხარჯი	(1,671)
თარგმნის მომსახურება	(72)
საბუთების გაგზავნის ხარჯი	(688)
დაცვის ხარჯი	(370)
კონფერენციის ხარჯი	(4,800)
საკონსულტაციო ხარჯი	(4,544)
დაზღვევის ხარჯები	(1,483)
ავტომანქანის მოვლა / შენახვისა და საწვავის ხარჯი	(22,925)
ბანკის საკომისიო	(11,429)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,440)
საჯარო რეესტრისა და ნოტარიუსის ხარჯი	(200)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(19,017)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(4,536)
ჯამი	(821,690)

12. მიწოდების დანახარჯი

	2020
რეკლამის ხარჯები	(10,562)
ჯამი	(10,562)

13. სხვა შემოსავლები

	2020
სხვა არასასაოპერაციო შემოსავალი	29,912
შემოსავალი საგადასახადო შეღავათიდან	12,913
ჯამი	42,825

14. დადებითი / უარყოფითი საკურსო სხვაობა

	2020
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	66,641
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	-66,402
სულ, საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	239

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	სატრასპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
თვითღირებულება				
ნაშთი 01/01/2020	20,252	12,977	2,230	35,459
შემოსვლა წლის განმავლობაში	1,632	1,237	-	2,869
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
ნაშთი 31/12/2020	21,885	14,214	2,230	38,328
ცვეთა				
ნაშთი 01/01/2020	(911)	(649)	(112)	(1,671)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,177)	(2,595)	(446)	(7,218)
ნაშთი 31/12/2020	(5,088)	(3,244)	(558)	(8,889)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 01/01/2020	19,342	12,328	2,119	33,788
ნაშთი 31/12/2020	16,797	10,969	1,673	29,439

2. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	31 დეკემბერი 2020
სალარო ეროვნულ ვალუტაში	71,498
სალარო აშშ დოლარში	-
ეროვნულ ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,746
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	98,608
სულ ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	182,853

3. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები სრულად წარმოადგენს დებიტორულ დავალიანებებს პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელთაგან საექვო მოთხოვნებში ან გრძელვადიან აქტივებში გადასატანი დებიტორი კომპანიას არ ყავს.

შპს „ჯეო ნუტრიშენ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. გადახდილი ავანსები

კომპანიას 2020 წლის ბოლოს უფიქსირდება უცხოელ მომწოდებლებთან ავანსად გადახდილი 101,642 ლარი, რაც სრულად წარმოადგენს პროდუქციის ღირებულებას.

5. სხვა საგადასახადო აქტივი

სხვა საგადასახადო აქტივი	2020
გადასახდელი მოგების გადასახადი	(10,297)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	73,855
საპენსიო გადასახადი	0
გადასახდელი დღგ	(296,364)
იმპორტის გადასახადი	(1,023)
გადახდილი დღგ	337,764
იმპორტის დღგ	(1,979)
ქონების გადასახადი	(316)
სულ, სხვა საგადასახადო აქტივი	101,642

მოგების გადასახადის დაანგარიშება და გადახდა მოხდა უსასყიდლოდ მიწოდებულ პროდუქციაზე

6. მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოადგენს სარეალიზაციოდ იმპორტირებულ პროდუქციას, რომელთაგან ჩამოსაწერი ნაშთი კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ გააჩნია.

7. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ, ფულადი სახით განხორციელებულ ინვესტიციას.

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიმდინარე მოკლევადიან დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია 31.12.2020 - ის დღის დარიცხვით. მათგან ჩამოსაწერი ან გრძელვადიან ვალდებულებებში გადასატანი დავალიანება კომპანიას არ გააჩნია.